

**თბილისში:**

თამარ ბარბაქაძე, IFC  
ტელ: +995 32 223 43 00/01/02  
ელ-ფოსტა: [TBarbakadze@ifc.org](mailto:TBarbakadze@ifc.org)

თამუნა კირვალიძე, თიბისი ბანკი  
ტელ: + 995 32 227 27 27  
ელ-ფოსტა: [TKirvalidze@tbcbank.com.ge](mailto:TKirvalidze@tbcbank.com.ge)

**ვაშინგტონში:**

ჯონ მაკნელი, IFC  
ტელ: +1 202 458 0723  
ელ-ფოსტა: [JMcnally@ifc.org](mailto:JMcnally@ifc.org)

**IFC-ის სავაჭრო დაფინანსების გარანტია ხელს შეუწყობს თიბისი ბანკს დააფინანსოს საგარეო ვაჭრობის ოპერაციები საქართველოში.**

თბილისი, საქართველო, 4 ოქტომბერი, 2011 - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, თიბისი ბანკს 10 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სავაჭრო დაფინანსების საგარანტიო ხაზს გაუხსნის, რაც დაეხმარება ბანკს დააფინანსოს ადგილობრივი კომპანიების საგარეო სავაჭრო ოპერაციები და ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას საქართველოში.

თიბისი ბანკი IFC-ის გლობალური ვაჭრობის დაფინანსების პროგრამას შეუერთდება, რაც მას საშუალებას მისცემს კლიენტებს შესთავაზოს იმპორტისა და ექსპორტის გრძელვადიანი დაფინანსება გაუმჯობესებული პირობებით. ეს პროგრამა ბანკს დააკავშირებს მსოფლიოს დაახლოებით 85 ქვეყნის საბანკო ქსელის 300-ზე მეტ ბანკთან.

„IFC-სთან თანამშრომლობის შედეგად თიბისი ბანკი მიიღებს მნიშვნელოვან გარანტიებს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდასაჭერად საქართველოში,” განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ. „IFC-ს ვაჭრობის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში თიბისი ბანკს საშუალება ექნება დააფინანსოს ადგილობრივი კომპანიები, რომ მათ მომავალში უფრო გააფართოვონ ქვეყანაში ექსპორტისა და იმპორტის ტრანზაქციები და შეაღწიონ საერთაშორისო ბაზრებზე.”

IFC-ისა და თიბისი ბანკს ხანგრძლივი ბიზნეს პარტნიორობა აკავშირებთ, რომელიც 1998 წელს დაიწყო. IFC თიბისი ბანკის ერთ-ერთი აქციონერია. როგორც ერთ-ერთი წამყვანი ბანკი საქართველოში, თიბისი საქართველოს ეკონომიკაში ფინანსური შუამავლის ფუნქციას ასრულებს და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საფინანსო სექტორში..

„იმ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის შემდეგ, რაც რთულ ეკონომიკურ პირობებში საქართველოს საბანკო სექტორს გაუწიეთ, კვლავ განვაგრძობთ ამ სექტორის ხელშეწყობას სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით, მათ შორის გლობალური ვაჭრობის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში,” განაცხადა IFC-ის ვიცე პრეზიდენტმა რამად კალდანიმ. „ამ ხელშეკრულების ხელმოწერა კიდევ ერთი

მნიშვნელოვანი ნაბიჯია IFC-ისა და თიბისი ბანკის ხანგრძლივი და წარმატებული თანამშრომლობის გზაზე.”

IFC-ის გლობალური ვაჭრობის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 10 000-ზე მეტი გარანტია გაიცა განვითარებად ბაზრებზე 17 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის სავაჭრო ოპერაციების დასაფინანსებლად.

IFC-ის ინვესტიციებმა საქართველოში თითქმის 550 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა სხვადასხვა სექტორის 39 პროექტში. გარდა ამისა, IFC თავისი საკონსულტაციო პროექტის ფარგლებში მუშაობს საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების მიმართულებით, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს. IFC საკონსულტაციო პროექტების მეშვეობით კომპანიებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლებაში ეხმარება და ასევე, მუშაობს ბანკებთან მათი რისკის მართვის პრაქტიკის განმტკიცების მიზნით. საქართველო IFC-ის წევრი 1995 წელს გახდა.

### IFC-ის შესახებ

IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც ექსკლუზიურად კერძო სექტორის განვითარებას უწყობს ხელს. ჩვენ ვეხმარებით განვითარებად ქვეყნებს მიაღწიონ მდგრად განვითარებას ინვესტიციებით, ასევე საწარმოებისა და მთავრობებისთვის საკონსულტაციო მომსახურებისა და საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე კაპიტალის მობილიზების გზით. 2011 ფინანსურ წელს, მსოფლიოში ეკონომიკის სფეროში განვითარებული პროცესების ფონზე, ჩვენ დავეხმარეთ ჩვენს კლიენტებს შეექმნათ საშუალო ადგილები, გაეუმჯობესებინათ თავიანთი საქმიანობა გარემოს დაცვის კუთხით, და ხელი შეეწყოთ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამ მიღწევების ფონზე ჩვენმა ინვესტიციებმა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს – 19 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: [www.ifc.org](http://www.ifc.org)

### თიბისი ბანკის შესახებ;

სს თიბისი ბანკი დაარსდა 1992 წელს. ის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსალური ბანკია საქართველოში, გამორჩეული მომსახურების მაღალი ხარისხითა და ინოვაციური სერვისით როგორც კორპორატიულ, ისე საცალო ბაზარზე. თიბისი ბანკის აქციებს ფლობენ ისეთი ძლიერი ფინანსური ინსტიტუტები, როგორებიცაა: **IFC, DEG, EBRD, FMO, JP MORGAN, ASHMORE** და ასევე ქართველი კერძო პირები. თიბისი ბანკის ისტორია – ეს არის დინამიური განვითარებისა და წარმატებების 19 წელი:

- პირველი ქართული ბანკი რომელიც ფლობს ISO სერთიფიკატს
- ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში
- კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საქართველოში
- წამყვანი პოზიციების მფლობელი სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე.
- წარმოდგენილი ისრაელისა (**TBC INVEST**) და აზერბაიჯანის (**TBC CREDIT**) ბაზრებზე.
- პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა:
- **FITCH RAITINGS: B + and B**
- **MOODY's: B 1 and Ba 3**

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ თიბისი ბანკის ვებ-გვერდს: [www.tbcbank.com.ge](http://www.tbcbank.com.ge)